ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4595514

ნომერი: AR1694604

თარიღი : 12.07.2019

გაცემის თარიღი : 19.07.2019

გაცნობის თარიღი : 20.07.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარაბდა , N 39 ; ქალაქი თბილისი , მარაბდის ქუჩა N39-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , მარაბდის ქუჩისა და კუს ტბის საქვაბისკენ მიმავალი გზის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , მარაბდის ქუჩისა და კუს ტბის საქვაბისაკენ მიმავალი გზის კუთხეში.; ქალაქი თბილისი , მარაბდის ქუჩა N39-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯანსუღ ბაბუნაშვილი პ/ნ 01030008251
- თბილისი მარაბდის ქ. N 14

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 12 ივლისის AR1694604 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით AR1691303 განაცხადის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2019 წლის 1 ივლისის AR1691303 ელექტრონული განაცხადით სამსახურს მომართა მოქალაქე გიორგი ინასარიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, ქუჩა მარაბდა , N 39 ; ქალაქი თბილისი , მარაბდის ქუჩა N39-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , მარაბდის ქუჩისა და კუს ტბის საქვაბისკენ მიმავალი გზის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , მარაბდის ქუჩისა და კუს ტბის საქვაბისაკენ მიმავალი გზის კუთხეში.; ქალაქი თბილისი , მარაბდის ქუჩა N39-ის მიმდებარედ (ს/კ 01.14.11.063.033) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება. საკითხის შესწავლის შედეგად 2019 წლის 9 ივლისის № 4576744 შუალედური გადაწყვეტილებით გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნულის დადასტურება არ მომხდარა.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით.

ამასთან განგიმარტავთ, იმისათვის რომ დაცული იქნას როგორც ნებართვის მაძიებლის, ასევე იმ პირების ინტერესები, რომელთა კანონით დაცულ ინტერესებზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს სამშენებლო სამუშაოები, საჭიროა თქვენს მიერ წარმოდგენილი „შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტი“-ზე ნათლად და გარკვევით დაფიქსირდეს რატომ ეწინააღმდეგებით კონკრეტულ სამშენებლო სამუშაოებს. (რა ნორმებს ეწინააღმდეგება შესათანხმებელი სამშენებლო სამუშაოები) და რა ზიანი შეიძლება მოგადგეთ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებით. საჭიროების შემთხვევაში ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას თქვენს მიერ დაფიქსირებული გარემოებების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.

სამსახური მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების თაობაზე წარმოდგენილი კონკრეტული განცხადების განხილვისას, განიხილავს ამ ობიექტთან დაკავშირებით თქვენ მიერ წარმოდგენილ შეტყობინებასაც, ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარების გარეშე. რის შედეგადაც სამსახური მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას ყველა დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე.
ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ- გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.